Hyundai Connected Mobility GmbH

კონფიდენციალურობის შეტყობინება - BLUELINK STORE / ფუნქცია მოთხოვნით

ძალაშია 2025 წლის აპრილიდან

კონფიდენციალურობის ამ შეტყობინების სხვა ენებზე არსებულ ვერსიებზე წვდომა და მათი ჩამოტვირთვა, 2025 წლის აპრილიდან იქნება შესაძლებელი.

1. კონფიდენციალურობის ეს შეტყობინება რას შეეხება?

კონფიდენციალურობის ამ შეტყობინების („კონფიდენციალურობის შეტყობინება“) მიზანია თქვენი ინფორმირება თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესახებ, ჩვენი Bluelink Store-ის მიწოდებასთან დაკავშირებით და ჩვენი Bluelink Store-ის სტუმრებსა და მომხმარებლებზეა („თქვენ“, „თქვენი“) მიმართული.

Bluelink Store-ში შეგიძლიათ, თქვენს Hyundai-ს ავტომობილზე გამოსაყენებლად, Bluelink გამოწერები და გარკვეული დამატებითი ფუნქციები, როგორიცაა ფუნქცია მოთხოვნით, ან სხვა დანამატები თქვენი მანქანის პროგრამული უზრუნველყოფისთვის (ფუნქცია მოთხოვნით, „FoD“) (Bluelink Store-ში შემოთავაზებული ყველა პროდუქტი და სერვისი მოხსენიებულია, როგორც „Bluelink Store Items“), აირჩიოთ და შეიძინოთ.

როდესაც Bluelink Store-ს ეწვევით და Bluelink Store Item-ს აირჩევთ და იყიდით, ჩვენ თქვენთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებს დავამუშავებთ, როგორც ეს კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებაშია მითითებული.

ჩვენ თქვენს პერსონალურ მონაცემებსა და კონფიდენციალურობას ძალიან სერიოზულად ვეკიდებით და თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ GDPR-ისა და მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის სხვა მოქმედი კანონების შესაბამისად დავამუშავებთ.

გაითვალისწინეთ, რომ კონფიდენციალურობის ამ შეტყობინების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შეიძლება ცალკე გაცნობოთ, მაგალითად, თანხმობის ფორმებში ან კონფიდენციალურობის ცალკეულ შეტყობინებებში.

2. ჩემი მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი ვინ არის?

Hyundai Connected Mobility GmbH თავისი რეგისტრირებული ოფისით მისამართზე Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, Germany („Hyundai“), სერვისების მიმწოდებელია და თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზეა პასუხისმგებელი, როგორც ეს კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებაშია აღწერილი. Hyundai მოხსენებული იქნება, როგორც „ჩვენ“ ან „ჩვენი“.

თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება ქვემოთ აღწერილი მიზნებისთვის გამოვიყენოთ.

3. კონტროლერსა და მონაცემთა დაცვის ოფიცერთან აკავშირბა როგორ შემიძლია?

თუ კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებასთან, ან თქვენი რომელიმე უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით შეკითხვები გაქვთ, შეგიძლიათ, Hyundai-ს მომხმარებელთა სატელეფონო ცენტრს ნომერზე +49 69271472377 დაუკავშირდეთ.

ასევე შეგიძლიათ, Hyundai-ს ელფოსტით დაუკავშირდეთ: bluelink@hyundai-europe.com.

გარდა ამისა, შეგიძლიათ, ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელფოსტის შემდეგ მისამართზე დაუკავშირდეთ: HCM.dataprotection@hyundai-europe.com ან წერილობით:

Hyundai Connected Mobility GmbH
c/o Data Protection Officer
Kaiserleipromenade
563067 Offenbach, Germany

4. რომელი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება, რა მიზნით და რომელ კანონიერ საფუძველზე?

4.1. Bluelink Store

4.1.1. Bluelink Store-ში ვიზიტი

როდესაც Bluelink Store-ს ეწვევით, თქვენი ვებ ბრაუზერი ჩვენს ვებ სერვერს ტექნიკურ მონაცემებს ავტომატურად გადასცემს (როგორც ქვემოთაა აღწერილი). ჟურნალის ფაილებში ტექნიკური მონაცემები შემდეგი მიზნებისთვის აღირიცხება: (i) თქვენს ვებ ბრაუზერსა და ჩვენს ვებ ბრაუზერს შორის კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად; (ii) იმის გაგებაში დასახმარებლად, თუ Bluelink Store როგორ გამოიყენება; (iii) Bluelink Store-ის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მისი ხელმისაწვდომობისა და ფუნქციონირების შესანარჩუნებლად.

ამ მიზნით შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: მოწყობილობის ტიპი; საოპერაციო სისტემა; ბრაუზერის ტიპი; IP მისამართი; Bluelink Store-თან დაკავშირების თარიღები და დრო; დროის სარტყელი; მიმმართველი ვებსაიტის URL; გადაცემულ მონაცემთა მოცულობა; UUID.

ჩვენი კანონიერი ინტერესების რეალიზაციისთვის, დამუშავება აუცილებელია (მუხლი 6 (1) ვ) GDPR).

ჩვენი კანონიერი ინტერესები შემდეგია: Bluelink Store-ის სათანადო და ეფექტური ფუნქციონირება, Bluelink Store-ის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მისი ხელმისაწვდომობისა და ფუნქციონირების შენარჩუნება.

4.1.2. Bluelink Store-ის გამოყენება

Bluelink Store-ის გამოსაყენებლად, Hyundai-ს ანგარიში უნდა შექმნათ. Hyundai-ს ანგარიშთან დაკავშირებით, თქვენი პერსონალური მონაცემების ჩვენ მიერ დამუშავების შესახებ დეტალები, ცალკე კონფიდენციალურობის შეტყობინებაშია მოცემული, რომელიც ხელმისაწვდომია აქ: [add link].

Bluelink Store არის ვებგვერდი, რომელზე წვდომაც მხოლოდ Bluelink აპის საშუალებითაა შესაძლებელი. როდესაც Bluelink Store-ში Bluelink აპის საშუალებით შედიხართ, თქვენი Hyundai-ს ანგარიშის მონაცემები Bluelink აპიდან Bluelink Store-ს გადაეცემა.

გარდა ამისა, ჩვენს სისტემებსა და თქვენს მოწყობილობაში წვდომის დროში შეზღუდულ გასაღებებს შევქმნით და შევინახავთ, სანამ სისტემიდან გახვალთ, რათა Bluelink Store-ში ცალკე დარეგისტრირება ან შესვლა არ დაგჭირდეთ.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:

- სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია (კორესპონდენციის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელფოსტის მისამართი), ასევე მიმართვა; ტიტული; ენის პრეფერენციები, მიღებული თქვენი Hyundai-ს ანგარიშიდან;
- მანქანის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN) და მოდელი;
- დროში შეზღუდული წვდომის გასაღები.

Hyundai-ს ანგარიშის მონაცემების დამუშავება, ჩვენთან დადებული კონტრაქტის შესასრულებლად, ან ჩვენთან ხელშეკრულების გასაფორმებლად (მუხლი 6 (1) ბ) GDPR) არის აუცილებელი.

დროში შეზღუდული წვდომის გასაღებების დამუშავება, ჩვენი კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR) არის აუცილებელი. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია Bluelink Store-ის მუშაობა და ფუნქციონირება და მისი მომხმარებლის გადამოწმება.

4.1.3. შეძენის პროცესი

თქვენ შეგიძლიათ, Bluelink Store Item Bluelink Store-ში აირჩიოთ და შესაბამის Bluelink Store Item-თან დაკავშირებული შეკვეთა გაგზავნოთ. ამის შემდეგ, შეკვეთის მიღებას, თქვენთვის ავტომატური ელფოსტის გაგზავნით დავადასტურებთ (შეკვეთის დადასტურება).

გაითვალისწინეთ, რომ შესაბამისი Bluelink Store Item-ის შეძენის შესახებ ხელშეკრულება მხოლოდ მას შემდეგ ფორმდება, რაც შესაბამის ავტომობილში, რომლისთვისაც ის შეძენილია, Bluelink Store Item გააქტიურდება.

შესყიდვის პროცესში, თქვენ Bluelink-ის გამოყენების წესებს უნდა დაეთანხმოთ და დაადასტუროთ, რომ Bluelink-ის კონფიდენციალურობის შეტყობინებას გაეცანით.

Bluelink-ის კონფიდენციალურობის შეტყობინებაში, თქვენ ინფორმაციას იხილავთ, კერძოდ, თქვენი პერსონალური მონაცემების ჩვენ მიერ დამუშავების შესახებ, შესაბამისი Bluelink Store Item-ის ინსტალაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, სადაც ეს გამოიყენება.

Bluelink-ის კონფიდენციალურობის შეტყობინება აქაა ხელმისაწვდომი.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:

- სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია (კორესპონდენციის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელფოსტის მისამართი), ასევე მიმართვა; ტიტული; და ენის პრეფერენციები.
- მანქანის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN) და მოდელი;
- თქვენ მიერ გაცემული თანხმობის ჩანაწერები ისევე, როგორც თარიღი და დრო, თანხმობის საშუალებები და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (მაგ. თანხმობის საგანი); ასევე
- შესყიდვებისა და ფასების ჩანაწერები; შეძენილი Bluelink Store Item-ების ჩანაწერები; შეკვეთის დადასტურებ(ები)ა; შეკვეთის ნომერი; სამიზნე მოდელი; შეძენის თარიღი; ინფორმაცია საცდელი პერიოდის შესახებ; გამოყენების დასრულების თარიღი; ინფორმაცია შესრულებული გადახდების შესახებ; ინფორმაცია Bluelink-ის გამოყენების პირობებზე დათანხმებისა და Bluelink-ის კონფიდენციალურობის შეტყობინების აღიარების შესახებ.

დამუშავება ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, ან ჩვენთან ხელშეკრულების გასაფორმებლად (მუხლი 6 (1) ბ) GDPR) არის აუცილებელი.

4.1.4. გადახდის პროცესი

გადახდის პროცესი Hyundai Pay-ს საშუალებით განხორციელდება. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ გაყიდვის პროცესთან დაკავშირებულ თქვენს პერსონალურ მონაცემებს როგორ დავამუშავებთ, Hyundai Pay-ს კონფიდენციალურობის შეტყობინებაშია მოცემული, რომლიც აქ არის ხელმისაწვდომი: [add link].

გადახდის პროცესი და Hyundai Pay-ს გამოყენება, Hyundai Pay-ს გამოყენების პირობებს ექვემდებარება, რომლებიც ხელმისაწვდომია აქ: [add link].

4.1.5. თქვენი FoD-ების მართვა

Bluelink Store საშუალებას გაძლევთ, მართოთ Bluelink Store Item-ები, კერძოდ FoD-ები. ამგვარად, თქვენ შეძლებთ, იხილოთ თქვენს მანქანასთან დაკავშირებული შესყიდვების შეჯამება, მათ შორის, დეტალები საცდელი პერიოდის, შესყიდვის თარიღების, გამოყენების დასრულების თარიღებისა და შესაბამისი Bluelink Store Item-ის სტატუსის შესახებ.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიების პერსონალური მონაცემები მუშავდება: ავტომობილის დეტალები და შესყიდვის დეტალები, როგორც ეს მითითებულია მუხლში 4.1.3.

ჩვენი კანონიერი ინტერესების რეალიზაციისთვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

ჩვენი კანონიერი ინტერესები შემდეგია: მომხმარებლისთვის მაღალი დონის სერვისის უზრუნველყოფა და მათთვის შესყიდვების შესახებ მოსახერხებელი მიმოხილვების მიწოდება.

4.2. კომუნიკაცია და მარკეტინგი

ზემოაღნიშნულ 4.1 განყოფილებაში მითითებული დამუშავების აქტივობების გარდა, ჩვენ ასევე შეიძლება, თქვენი პერსონალური მონაცემები შემდეგი მიზნებისთვის დავამუშაოთ:

4.2.1. კომუნიკაცია:

თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება დავამუშაოთ, რათა თქვენ მიერ Bluelink Store-ის გამოყენების, ან ჩვენთან დადებული შეთანხმების შესახებ დაგიკავშირდეთ (მაგ. მომხმარებელთა მხარდაჭერის უზრუნველყოფის, Bluelink Store-თან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების შესახებ ინფორმირების, ჩვენი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, ან კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინების ცვლილებების შესახებ ინფორმირება) რამდენიმე საკომუნიკაციო არხით, მათ შორის, ელფოსტით, ტელეფონითა და შეტყობინებებით თქვენი მანქანის მთავარ ბლოკსა და Bluelink აპში (Bluelink აპი ამ მიზნით ცალკე საფოსტო ყუთს გთავაზობთ).

როდესაც ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხებით (მაგ. საკონტაქტო ფორმა ჩვენს ვებსაიტზე, ან Bluelink აპში, ელფოსტა, ან ტელეფონი) გვიკავშირდებით, ჩვენ შეიძლება, თქვენი პერსონალური მონაცემები თქვენი მოთხოვნის შესასრულებლად დავამუშაოთ და შესაბამისად, თქვენს მოთხოვნასთან დაკავშირებით დაგიკავშირდეთ.

Bluelink აპის საკონტაქტო ფორმის გარკვეული ველები წინასწარ შეივსება, რათა საკონტაქტო ფორმის გამოყენება თქვენთვის უფრო მოსახერხებელი გახდეს.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: საკონტაქტო ინფორმაცია (მაგ. ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი), სახელი, თქვენ მიერ შესაბამის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია, ისევე, როგორც (საჭიროების შემთხვევაში) ინფორმაცია თქვენი მანქანისა და შეძენილი სერვისების შესახებ.

მონაცემთა დამუშავება ჩვენთან დადებული კონტრაქტის შესასრულებლად (მუხლი 6 (1) ბ) GDPR) და ჩვენი კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR) არის აუცილებელი.

ჩვენი კანონიერი ინტერესები შემდეგია: ჩვენი მომხმარებლისთვის შესაძლო საუკეთესო სერვისის მიწოდება და ჩვენი მომხმარებლების მოთხოვნებზე სათანადო რეაგირება და მათი დამუშავება.

4.2.2. გამოკითხვები და გამოხმაურება:

დროდადრო შეიძლება გამოხმაურების დასატოვებლად და/ან ისეთ გამოკითხვებში მონაწილეობის მისაღებად მოგიწვიოთ, რომლებიც Bluelink Store-ს, მათ შორის, მხარდაჭერის სერვისებს ეხება.

თუ გამოხმაურებას დატოვებთ, ან გამოკითხვებში მონაწილეობას მიიღებთ, შესაბამისი პერსონალური მონაცემები შეიძლება გამოხმაურების დამუშავებისა და შეფასების, ან გამოკითხვის ჩატარების, დამუშავებისა და შეფასებისთვის დავამუშაოთ.

ეს ჩვენი სერვისების გაუმჯობესებისა და ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებზე ადაპტაციისთვის არის განკუთვნილი. ასეთი გამოკითხვების ჩასატარებლად შეიძლება მესამე მხარის მიმწოდებლებს მივმართოთ.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიების პერსონალური მონაცემები მუშავდება: სახელი (თუ შესაბამისი და მოწოდებულია), კონტენტის მონაცემები (მაგ. თქვენი გამოხმაურება და/ან პასუხები), ტექნიკური მონაცემები (IP მისამართი, UUID, ოპერაციული სისტემის ვერსია, მოწყობილობის ტიპი, მოწყობილობის ID/MAC მისამართი, სისტემა, ეფექტურობის ინფორმაცია, ბრაუზერის ტიპი).

დამუშავება იმ კანონიერი ინტერესისთვის არის აუცილებელი (მუხლი 6 (1) ვ) GDPR), რომლის მიზანსაც, მომხმარებელთა გამოხმაურების საფუძველზე, ჩვენი მომსახურების გაუმჯობესება წარმოადგენს.

4.2.3. მსგავსი საქონლისა და მომსახურებისთვის, მონაცემთა მარკეტინგული მიზნით დამუშავება

ჩვენ შეიძლება თქვენი ის პერსონალური მონაცემები, რომლებსაც უშუალოდ თქვენგან და ჩვენს სერვისებში თქვენი რეგისტრაციისას ვიღებთ, ჩვენი მსგავსი პროდუქტებისა და/ან სერვისების მარკეტინგის მიზნით (მაგ., რომ შეგატყობინოთ ახალი სერვისების ან Hyundai-ის სხვა მსგავსი სერვისების შესახებ) გამოვიყენოთ, თუ ასეთ გამოყენებას არ ეწინააღმდეგებით.

დამუშავების სამართლებრივი საფუძველია მუხ. 6 (1) (ვ) GDPR (ჩვენი კანონიერი ინტერესები, გაცნობოთ ჩვენი სერვისების შესახებ და მოვახდინოთ მათი რეკლამირება).
მონაცემების ამ მიზნით გამოყენების გაპროტესტება ნებისმიერ დროს, გამოწერის გაუქმების ბმულით, რომელიც ყველა კომუნიკაციას ერთვის, ან 3 განყოფილებაში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით, უფასოდ შეგიძლიათ.

4.3. მონაცემთა დამუშავების სხვა მიზნები

4.3.1. ბიზნესის ოპერაციები

როგორც ზემოთ არის აღწერილი, თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება შიდა მართვისა და ადმინისტრირების მიზნებისთვის გამოვიყენოთ, მათ შორის, ჩანაწერების მართვის, ან სხვა შიდა პროტოკოლების წარმოებისთვის.
ასეთი დამუშავება, ჩვენი კანონიერი ინტერესის მიზნებისთვის არის აუცილებელი (მუხლი 6 (1) ვ) GDPR).
ჩვენი კანონიერი ინტერესები შემდეგია: ჩვენი ბიზნესის სათანადო და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

4.3.2. სამართლებრივი შესაბამისობა, სამართალწარმოება და გამოძიება

ასევე შეიძლება, თქვენი პერსონალური მონაცემების ნებისმიერი კატეგორია, რომელიც ზემოთ არის აღწერილი, მოქმედი კანონების, დირექტივების, რეკომენდაციების, ან მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების დაცვის მიზნით (მაგალითად, სასამართლოებისთვის, ან მარეგულირებელი ორგანოებისთვის, მათ შორის, პოლიციისთვის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ისევე, როგორც ჩვენი უფლებებისა და ინტერესების შეფასების, უზრუნველყოფისა და დაცვის მოთხოვნებისთვის) დავამუშაოთ.
ასეთი დამუშავება შეიძლება საჭირო იყოს (i) იმ სამართლებრივი ვალდებულებების დასაცავად, რომლებსაც ჩვენ ვექვემდებარებით (მუხლი 6 (1) გ) GDPR); ან (ii) ჩვენი კანონიერი ინტერესის მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR).
ჩვენი კანონიერი ინტერესები შემდეგია: მოქმედი სამართლებრივი ვალდებულებების დაცვის უზრუნველყოფა, ასევე ჩვენი ინტერესების დაცვა და ჩვენი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

4.4. გადაწყვეტილების ავტომატური მიღების გარეშე

Hyundai გადაწყვეტილებებს ავტომატიზებულად არ იღებს, მათ შორის, სერვისებთან დაკავშირებული პროფილირების ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მკაფიო შეტყობინება სხვაგვარად არ მიგიღიათ.

5. ქუქი-ფაილები და ვებისთვის თვალყურის დევნება

როდესაც Bluelink Store-ს ეწვევით, ჩვენ შეიძლება ქუქი-ფაილები ან მსგავსი ტექნოლოგიები და პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნებისთვის გამოვიყენოთ.
როდესაც ვებსაიტს ეწვევით ან აპლიკაციას იყენებთ, მას შეუძლია, თქვენი ბრაუზერის შესახებ ინფორმაცია, ჩვეულებრივ, ქუქი-ფაილების ან ისეთი მსგავსი ტექნოლოგიების სახით შეინახოს ან ამოიღოს, როგორებიცაა ვებ შუქურები, პიქსელები და ა.შ. (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ქუქი-ფაილები“).
ეს ინფორმაცია შეიძლება თქვენ, თქვენს პრეფერენციებს ან თქვენს მოწყობილობას ეხებოდეს და ძირითადად იმისთვის გამოიყენება, რომ ვებსაიტმა/აპლიკაციამ ისე იმუშაოს, როგორც თქვენ მოელით.
როგორც წესი, ეს ინფორმაცია პირდაპირ თქვენს იდენტიფიცირებას არ იწვევს, მაგრამ მას შეუძლია, უფრო პერსონალიზებული ვებ გამოცდილება მოგაწოდოთ. თქვენ უფლება და შესაძლებლობა გაქვთ, ზოგიერთი ტიპის ქუქი-ფაილი არ დაუშვათ.
ქუქი-ფაილების ტიპები
ქუქი-ფაილებს მათი ფუნქციისა და დანიშნულების მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიებად ვახარისხებთ.
იმის მიხედვით, თუ რომელი კომპანია მართავს მათ, ჩვენ შემდეგი ტიპის ქუქი-ფაილების გამოყენება შეგვიძლია:

- პირველი მხარის ქუქი-ფაილები ის ფაილებია, რომლებიც მომხმარებლის სისტემას რედაქტორის მიერ მართული სისტემიდან ან დომენიდან ეგზავნება და საიდანაც მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სერვისი მიეწოდება.
- მესამე მხარის ქუქი-ფაილები ის ფაილებია, რომლებიც მომხმარებლის სისტემას იმ სისტემიდან ან დომენიდან ეგზავნება, რომელსაც მართავს არა რედაქტორი, არამედ სხვა კომპანია, რომელიც იმ მონაცემებს ამუშავებს, რომლებიც ქუქი-ფაილების მეშვეობით არის მიღებული.

მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ შემდეგი ტიპის ქუქი-ფაილების გამოყენება შეგვიძლია:

- **მკაცრად აუცილებელი ქუქი-ფაილები:** ეს ქუქი-ფაილები ვებსაიტის ფუნქციონირებისთვის არის აუცილებელი და ჩვენს სისტემებში მათი გამორთვა შეუძლებელია.

როგორც წესი, ისინი მხოლოდ თქვენ მიერ შესრულებული ქმედებების საპასუხოდ არის დაყენებული, რაც ისეთი სერვისების მოთხოვნას წარმოადგენს, როგორებიცაა თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრების დაყენება, სისტემაში შესვლა და ფორმების შევსება.

თქვენ შეგიძლიათ, ბრაუზერი ისე მომართოთ, რომ ეს ქუქი-ფაილები დაიბლოკოს ან მათ შესახებ გაფრთხილება მიიღოთ, მაგრამ საიტის ზოგიერთი ნაწილი აღარ იმუშავებს. ეს ქუქი-ფაილები პიროვნების მაიდენტიფიცირებელ რაიმე ინფორმაციას არ ინახავს.

- **ეფექტურობის ქუქი-ფაილები:** ეს ქუქი-ფაილები საშუალებას გვაძლევს, დავთვალოთ ვიზიტები და ტრაფიკის წყაროები, რათა ჩვენი საიტის მუშაობის გაზომვისა და გაუმჯობესების საშუალება გვქონდეს.

მათი მეშვეობით შეგვიძლია გავიგოთ, რომელი გვერდებია ყველაზე მეტად და ნაკლებად პოპულარული და დავინახოთ, ვიზიტორები საიტზე როგორ გადაადგილდებიან.
ამ ქუქი-ფაილებით შეგროვებული ყველა ინფორმაცია არის აგრეგირებული და, შესაბამისად, ანონიმური.
თუ ამ ქუქი-ფაილების გამოყენებას არ დაუშვებთ, ჩვენ არ გვეცოდინება, როდის ეწვიეთ ჩვენს საიტს და მის ეფექტურობას თვალს ვერ ვადევნებთ.

- **ფუნქციური ქუქი-ფაილები:** ეს ქუქი-ფაილები ვებსაიტს საშუალებას აძლევს, გაუმჯობესებული ფუნქციონირება და პერსონალიზება უზრუნველყოს. ისინი შეიძლება ჩვენ ან მესამე მხარის იმ მიმწოდებლებმა დავაყენოთ, რომელთა სერვისები ჩვენს გვერდებზე დავამატეთ.

თუ თქვენ ამ ქუქი-ფაილებს არ დაუშვებთ, ამ სერვისებიდან ზოგიერთმა ან ყველამ შეიძლება გამართულად არ იმუშაოს.

- **მიზნობრივი ქუქი-ფაილები:** ეს ქუქი-ფაილები შეიძლება ჩვენი საიტის მეშვეობით ჩვენი სარეკლამო პარტნიორების მიერ დაყენდეს. ისინი ამ კომპანიებმა შეიძლება თქვენი ინტერესების პროფილის შესაქმნელად და თქვენთვის სხვა საიტებზე შესაბამისი რეკლამის საჩვენებლად გამოიყენოს.

ისინი უშუალოდ პირად ინფორმაციას არ ინახავს, მაგრამ თქვენი ბრაუზერისა და იმ მოწყობილობის უნიკალური იდენტიფიცირების საშუალებით მუშაობს, რომელსაც ინტერნეტზე წვდომისთვის იყენებთ. თუ ამ ქუქი-ფაილებს არ დაუშვებთ, ნაკლებად მიზნობრივ რეკლამას ნახავთ.

- **სოციალური მედიის ქუქი-ფაილები:** ეს ქუქი-ფაილები სოციალური მედიის მთელი რიგი სერვისების მიერ ყენდება, რომლებიც ჩვენ საიტზე დავამატეთ, რათა საშუალება მოგცეთ, ჩვენი კონტენტი თქვენს მეგობრებსა და ქსელებს გაუზიაროთ.

მათ შეუძლია, თქვენს ბრაუზერს სხვა საიტებზე თვალყური ადევნოს და თქვენი ინტერესების პროფილი შექმნას. ამან შეიძლება იმ კონტენტზე და შეტყობინებებზე მოახდინოს გავლენა, რომლებსაც იმ სხვა ვებსაიტებზე ხედავთ, რომლებსაც სტუმრობთ.
თუ ამ ქუქი-ფაილებს არ დაუშვებთ, გაზიარების ამ ხელსაწყოების გამოყენებასა და ნახვას ვერ შეძლებთ.
თქვენს საბოლოო მოწყობილობაზე ინფორმაციის შენახვა და მასზე წვდომის მოპოვება, მათ შორის, თქვენი პერსონალური მონაცემების შემდგომი დამუშავება, რომლებიც მკაცრად აუცილებელი ქუქი-ფაილებით დამუშავდა, საჭიროა თქვენთვის სერვისის მიწოდებისთვის, რომელიც თქვენ პირდაპირ მოითხოვეთ, და ჩვენი კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხლი 6 (1) პუნქტი ვ) GDPR), რათა ჩვენი ვებსაიტი მოგაწოდოთ, სისტემის სტაბილურობა და ეფექტურობა უზრუნველვყოთ და ჩვენი ვებსაიტისა და სერვისების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ზომები მივიღოთ.
თქვენს საბოლოო მოწყობილობაზე ინფორმაციის შენახვა და მასზე წვდომის მოპოვება, მათ შორის, თქვენი პერსონალური მონაცემების შემდგომი დამუშავება, რომლებიც ქუქი-ფაილებით, ფუნქციური ქუქი-ფაილებით, მიზნობრივი ქუქი-ფაილებითა და სოციალური მედიის ქუქი-ფაილებით არის მოპოვებული, ჩვენი ვებსაიტის მოსანახულებლად მკაცრად აუცილებელი არ არის.
თუ წინასწარი თანხმობა (მუხლი 6 (1) პუნქტი ა) GDPR) მოგვეცით, ასეთი ქუქი-ფაილების მეშვეობით თქვენს ინფორმაციას და პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ შევინახავთ, მათზე წვდომა გვექნება და მათ დავამუშავებთ.
თქვენ შეგიძლიათ, პრეფერენციები ისე დააყენოთ, რომ ყველა ქუქი-ფაილი დაშვებული იყოს, ზოგიერთი ტიპის ქუქი-ფაილი არ იყოს დაშვებული ან ყველა ქუქი-ფაილი უარყოფილი იყოს. თქვენ შეგიძლიათ, თანხმობის პრეფერენციები ნებისმიერ დროს „ქუქი-ფაილების პარამეტრებში“ შესვლით მართოთ.
აქ შეგიძლიათ, სხვადასხვა კატეგორიის სათაურებზე დააწკაპუნოთ, რათა მეტი გაიგოთ, შესაბამისი პარამეტრები მართოთ და თითოეული ქუქი-ფაილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იპოვოთ. თუმცა, ზოგიერთი ტიპის ქუქი-ფაილის დაბლოკვამ შეიძლება თქვენ მიერ ვებსაიტის გამოცდილებაზე და ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სერვისებზე გავლენა მოახდინოს.

5.1. ქუქი-ფაილებზე თანხმობის მართვის ხელსაწყო OneTrust

ჩვენ OneTrust-ის (OneTrust Technology Limited, 82 St. John Street, Farringdon, London EC1M 4 JN, United Kingdom) მიერ მიწოდებულ ქუქი-ფაილებზე თანხმობის მართვის ხელსაწყოს ვიყენებთ.
ქუქი-ფაილებზე თანხმობის მართვის ხელსაწყოს საშუალებით ჩვენ გთავაზობთ ქუქი-ფაილების შენახვაზე კანონის შესაბამის დათანხმებასა და თანხმობის გაუქმების უზრუნველყოფას.
გარდა ამისა, თქვენი თანხმობა იურიდიული დადასტურებისთვის დოკუმენტირდება და ქუქი-ფაილების დაყენება ტექნიკური საშუალებებით კონტროლდება. ამ მიზნით გამოიყენება ქუქი-ფაილები, რომლებიც თქვენი ქუქი-ფაილების პარამეტრებს ჩვენს ვებსაიტზე ინახავს.

ამასთან დაკავშირებით დავამუშავებთ თქვენს IP მისამართსა და (თანხმობის შემთხვევაში) ბრაუზერის, ქვეყნის, მოწყობილობის, ბრაუზერის ფსევდო-ანონიმური ID-ის, ჯგუფების/გადაწყვეტილებების მიერ გაცემული/უკან გახმობილი თანხმობის შენახვის შესახებ ინფორმაციას ცვლილების დროის მითითებით, რათა გაცემული თანხმობის იურიდიული მტკიცებულება შესაძლებელი იყოს.
ამგვარად, ქუქი-ფაილების პარამეტრები შეიძლება შენარჩუნდეს, როდესაც ჩვენს ვებსაიტს კვლავ ეწვევით, თუ ქუქი-ფაილებს მანამდე არ წაშლით. პარამეტრების კორექტირებას ნებისმიერ დროს შეძლებთ.
თქვენი პერსონალური მონაცემები იმისთვის მუშავდება, რომ ქუქი-ფაილების გამოყენებაზე დათანხმების შესაძლებლობა შემოგთავაზოთ, თქვენი თანხმობა დადასტურდეს, უზრუნველყოფილი იყოს თანხმობის გაუქმება და თქვენი პარამეტრების მართვა იყოს შესაძლებელი.
მონაცემთა დამუშავება ეფუძნება ჩვენს ლეგიტიმურ ინტერესს (მუხლი 6 (1) პუნქტი ვ) GDPR), რათა ჩვენი კანონიერი ვალდებულებების შესრულება, ასევე თქვენი თანხმობის მართვა და დოკუმენტირება შევძლოთ.

5.2. Google-ის თეგების მმართველი

ჩვენს ვებსაიტზე Google-ის თეგების მმართველს ვიყენებთ და ამ სერვისის მიმწოდებელია Google (Google Ireland Limited, Gordon House, Barrow Street, Dublin 4, Ireland (ყველა პირისთვის, რომელიც EEA-ს ან შვეიცარიის ფარგლებს გარეთაა, სერვისს Google LLC, 1600 Amphitheatre Parkway, Mountain View, CA 94043, USA უზრუნველყოფს), რომელიც ჩვენი საკუთარი და მესამე მხარის მიერ მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფით ტეგებს მართავს, თვალყურს ადევნებს და ანალიტიკის საშუალებას იძლევა.
ტეგები კოდის მცირე ელემენტებია, რომლებიც გვეხმარება ვაკონტროლოთ, თუ გვერდის ან სერვისის რომელი ელემენტები და ხელსაწყოები რა თანმიმდევრობით აქტიურდება და იტვირთება, მათ შორის, ტრაფიკის და ვიზიტორების ქცევის გასაზომად, ჩვენი რეკლამის ზემოქმედების გასაგებად, რემარკეტინგის დასაყენებლად და მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებისთვის ისევე, როგორც ჩვენი ვებსაიტის ტესტირებისა და ოპტიმიზაციისთვის.
Google-ის ტეგების მმართველი არის დამხმარე სერვისი, რომელიც ინტერფეისის საშუალებით ჩვენი ტეგების ინტეგრაციას და მართვას აადვილებს. Google-ის ტეგების მმართველი მხოლოდ ტეგებს ახორციელებს, რაც ნიშნავს, რომ ის საკუთარ ქუქი-ფაილებს არ იყენებს და პერსონალურ მონაცემებს თავად არ აგროვებს.
ის სხვა ტეგებს ააქტიურებს, რომლებმაც, თავის მხრივ, შეიძლება პერსონალური მონაცემები შეაგროვოს. თუმცა, Google-ის ტეგების მმართველს ამ მონაცემებზე წვდომა არ აქვს. მონაცემთა დამუშავება თქვენი თანხმობის საფუძველზე (მუხლი 6 (1) პუნქტი ა) GDPR) ხორციელდება.
Google-ისა და მისი კონფიდენციალურობის პრაქტიკის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შემდეგ ბმულებს ეწვიეთ.

- Google-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკა: https://policies.google.com/privacy?hl=en
- Google-ის ტეგების მმართველის გამოყენების პოლიტიკა: https://marketingplatform.google.com/about/analytics/tag-manager/use-policy/

5.3. Google Analytics 4

ჩვენ ვებ ანალიტიკის სერვისს Google Analytics 4 ვიყენებთ, რომელსაც ჩვენს ვებსაიტზე Google LLC უზრუნველყოფს. ევროკავშირის/EEA-სა და შვეიცარიაში მომხმარებლებისთვის პასუხისმგებელი პირია Google Ireland Limited, Google Building Gordon House, 4 Barrow St, Dublin, D04 E5W5, Ireland („Google“).
Google Analytics 4 ქუქი-ფაილებს იყენებს, რომლებიც ჩვენი ვებსაიტების გამოყენების გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. ვებსაიტზე თქვენი ვიზიტის დროს თქვენი ქცევა „მოვლენების“ სახით აღირიცხება. მოვლენები შეიძლება შემდეგ ინფორმაციას შეიცავდეს: გვერდის ნახვები, ვებსაიტზე პირველი ვიზიტი, სესიის დაწყება, მონახულებული გვერდები, თქვენი „დაწკაპუნების გზა“, ვებსაიტთან ურთიერთქმედება, გადახვევები (როდესაც მომხმარებელი თითქმის გვერდის ბოლოში (90%) ჩადის), დაწკაპუნება გარე ბმულებზე, შიდა საძიებო მოთხოვნები, ვიდეოებთან ურთიერთქმედება, ფაილების ჩამოტვირთვები და რეკლამა, რომელიც ნახეთ/რომელზეც დააჭირეთ.
გარდა ამისა, შეიძლება შემდეგი ინფორმაცია ჩაიწეროს: თქვენი სავარაუდო მდებარეობა (რეგიონი), თქვენი ვიზიტის თარიღი და დრო, თქვენი IP მისამართი (შემოკლებული ფორმით), ტექნიკური ინფორმაცია თქვენი ბრაუზერისა და თქვენ მიერ გამოყენებული ბოლო მოწყობილობების შესახებ (მაგ. ენის პარამეტრი, ეკრანის გარჩევადობა), თქვენი ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელი და მიმთითებლის URL (ამ ვებსაიტზე რომელი ვებსაიტიდან/სარეკლამო საშუალებიდან მოხვდით).
Google ამ ინფორმაციას ჩვენი სახელით გამოიყენებს, რათა თქვენ მიერ ვებსაიტის გამოყენება შეაფასოს და ვებსაიტის აქტივობის შესახებ ანგარიშები შეადგინოს. Google Analytics 4-ის მიერ მიწოდებული ანგარიშები ჩვენი ვებსაიტის მუშაობის გაანალიზების საშუალებას გვაძლევს.
ქუქი-ფაილების საშუალებით თქვენ მიერ ამ ვებსაიტის გამოყენების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია, ჩვეულებრივ, Google-ის აშშ-ის სერვერზე გადაეცემა და იქ ინახება.
Google Analytics 4-ს IP ანონიმიზაცია ნაგულისხმევად ჩართული აქვს.
IP ანონიმიზაციის წყალობით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ევროპის ეკონომიკური ზონის შეთანხმების მონაწილე სხვა სახელმწიფოებში Google-ს მიერ თქვენი IP მისამართი დამოკლდება. გამონაკლის შემთხვევებში სრული IP მისამართი აშშ-ში, Google-ს სერვერზე გადაიცემა და იქ დამოკლდება.

Google-ის თანახმად, IP მისამართი, რომელიც თქვენი ბრაუზერის მიერ Google Analytics-ის ნაწილის სახით გადაიცა, Google-ის სხვა მონაცემებთან არ გაერთიანდება.
[Only if Google Signals is activated] გარდა ამისა, ჩვენ Google Signal-ებს ვიყენებთ.
როდესაც ჩვენს ვებსაიტს ეწვევით, Google Analytics სხვა საკითხებთან ერთად თქვენს მდებარეობას, ძიების ისტორიას, YouTube-ის ისტორიასა და დემოგრაფიულ მონაცემებს (ვიზიტორთა მონაცემებს) ჩაიწერს.
ეს მონაცემები შეიძლება Google Signal-ის დახმარებით პერსონალიზებული რეკლამისთვის იქნეს გამოყენებული. თუ Google ანგარიში გაქვთ, Google Signal-ის ვიზიტორთა მონაცემები თქვენს Google ანგარიშს მიებმება და პერსონალიზებული სარეკლამო შეტყობინებებისთვის გამოიყენება. ეს მონაცემები ჩვენი მომხმარებლების ქცევის ანონიმური სტატისტიკის შესადგენადაც გამოიყენება.
ჩვენ მიერ გაგზავნილი და ქუქი-ფაილებთან დაკავშირებული მონაცემები 2 [ან 14 თვის] შემდეგ ავტომატურად წაიშლება. Google Analytics-ის ქუქი-ფაილების მოქმედების მაქსიმალური ვადა 2 წელია. მონაცემები, რომელთა შენახვის ვადაც ამოიწურება, ავტომატურად, თვეში ერთხელ იშლება.
თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი თქვენი თანხმობაა (მუხლი 6(1) პუნქტი ა) GDPR). თქვენ შეგიძლიათ, თანხმობა ნებისმიერ დროს, ქუქი-ფაილების პარამეტრების მეშვეობით გააუქმოთ.
დამატებითი ინფორმაციისთვის იმაზე, თუ როგორ ამუშავებს Google თქვენს პერსონალურ მონაცემებს, შემდეგ ბმულებსაც ეწვიეთ:

- Google-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკა: https://policies.google.com/privacy?hl=en
- Google Analytics-ის გამოყენების პირობები: https://marketingplatform.google.com/about/analytics/terms/us/ და https://policies.google.com/?hl=en
- თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებით: https://business.safety.google/adsprocessorterms/sccs/c2p/

6. ჩემი მონაცემები ვისთან გაზიარდება?

Hyundai-ში თქვენს პერსონალურ ინფორმაციაზე ნებისმიერი წვდომა იმ პირებითაა შეზღუდული, რომლებსაც მისი ცოდნა სამუშაო ვალდებულებების შესასრულებლად სჭირდებათ.
თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება ქვემოთ ჩამოთვლილ მიმღებებს და მიმღებთა კატეგორიებს, შესაბამისი მიზნებისთვის გადაეცეს; შემდეგ ეს მიმღებები, მითითებული მიზნებისთვის მათ დამუშავებას შეძლებენ:

- მონაცემთა დამმუშავებლები: თქვენს პერსონალურ მონაცემებს გარკვეულ, შვილობილ თუ არაშვილობილ მესამე მხარეებს გადავცემთ, რომლებიც თქვენს მონაცემებს Hyundai-ს სახელით და შესაბამისი ინსტრუქციების შესაბამისად ამუშავებენ, როგორც ეს დამუშავების შესაბამისი მიზნებისთვის არის აუცილებელი.
- მონაცემთა დამმუშავებლები სახელშეკრულებო ვალდებულებებს დაექვემდებარებიან, რათა პერსონალური მონაცემების დასაცავად და თქვენი პერსონალური მონაცემების მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად დასამუშავებლად უსაფრთხოების შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები განახორციელონ.
- Hyundai-ს შვილობილი კომპანიები:
- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური მომსახურების მონაცემთა დამმუშავებელი, რომელიც Bluelink Store-თან არის დაკავშირებული: Hyundai Autoever Europe GmbH, Kaiserleistraße 8a, 63067 Offenbach am Main, Germany;
- მონაცემთა დამმუშავებელი მომხმარებელთა მხარდაჭერასთან დაკავშირებულ სერვისებში (ქოლ-ცენტრის სერვისების ჩათვლით): Hyundai Motor Company, 12 Heolleung-ro, Seocho-gu, Seoul, 06797, Republic of Korea და ჩვენი შვილობილი საწარმოები EU/EEA-ში.
- პარტნიორები, რომლებიც მხარს მომხმარებელთა სერვისებს უჭერენ;
- პარტნიორები, რომლებიც მომხმარებელთა მონაცემების მართვის პლატფორმებსა და დაკავშირებული მანქანების მონაცემთა მართვის პლატფორმებს უზრუნველყოფენ;
- პარტნიორები, რომლებიც მხარს კონკრეტული Bluelink Store Item-ების, განსაკუთრებით, FOD-ების მიწოდებისა და ტექნიკური მომსახურების ტექნიკურ ასპექტებს უჭერენ;
- ისეთი მესამე მხარეები, როგორებიც ბაზრის კვლევის კომპანიები, მარკეტინგული სააგენტოები და ლიდების მაგენერირებელი კომპანიებია, ისევე, როგორც სხვა მესამე მხარეები, რომლებიც პერსონალურ მონაცემებს გვაწვდიან;

- ქუქი-ფაილებზე დათანხმების მართვის ინსტრუმენტის, OneTrust-ის მონაცემთა დამმუშავებელია OneTrust Technology Limited, 82 St John Street, Farringdon, London, EC1M 4JN, United Kingdom.
- სამთავრობო ორგანოები, სასამართლოები და მსგავსი მესამე მხარეები, რომლებიც საჯარო ორგანოებს წარმოადგენს, როგორც ამას მოითხოვს ან ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით.
- გარე კერძო მესამე მხარეები – თქვენს პერსონალურ მონაცემებს გარკვეულ კერძო პირებს გადავცემთ, რომლებიც სერვისების შეთავაზებასა და ბიზნესის მართვაში გვეხმარებიან. მათ შორის შეიძლება იყვნენ საგადასახადო კონსულტანტები, აუდიტორები, ბუღალტრები, იურიდიული მრჩევლები, ტელეკომუნიკაციების პროვაიდერები და ა.შ. ასეთი მიმღებები, ჩვეულებრივ, შესაბამის პერსონალურ მონაცემებს დამოუკიდებელი კონტროლერების სახით ამუშავებენ.

7. ჩემი მონაცემები საზღვარგარეთ გადაიცემა?

პრინციპში, Bluelink Store-თან დაკავშირებული თქვენი მონაცემები EU/EEA-ში მუშავდება.
თქვენს მონაცემებს EU/EEA-ს ფარგლებს გარეთ Hyundai-ს საწარმოებს, რომლებიც კორეის რესპუბლიკაში მდებარეობს, 6 განყოფილებაში მითითებული მიზნებისთვის გადავცემთ.
ევროკომისიამ განსაზღვრა, რომ კორეა და გაერთიანებული სამეფო იმ იურისდიქციებს შორისაა, რომლებიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ადეკვატურ დონეს უზრუნველყოფენ.
თქვენი პერსონალური მონაცემების ზოგიერთი სხვა მიმღები შეიძლება მდებარეობდეს, ან საქმიანობას ეწეოდეს თქვენი ქვეყნისა და EU/EEA-ს ფარგლებს გარეთ, მაგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში (მაგ., მონაცემთა მიმწოდებლების ქვედამმუშავებლები), სადაც მონაცემთა დაცვის კანონები, შესაძლოა, თქვენი იურისდიქციის კანონებთან შედარებით დაცვის განსხვავებულ დონეს უზრუნველყოფდეს და სადაც შესაბამისობის შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილება არ არსებობს.
რაც შეეხება ამ მიმღებებისთვის მონაცემთა EU/EEA-ს ფარგლებს გარეთ გადაცემას, ჩვენ უზრუნველვყოფთ შესაბამის გარანტიებს, კერძოდ, მიმღებებთან მონაცემთა გადაცემის ხელშეკრულებების გაფორმებას, რომლებიც ევროკომისიის მიერ მიღებულ სტანდარტულ დებულებებს, ან მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონის უზრუნველსაყოფად სხვა ზომების მიღებას მოიცავს.
ჩვენ მიერ მიღებული შესაბამისი ზომების ასლი, Hyundai-ს მონაცემთა დაცვის ოფიცერთან არის ხელმისაწვდომი (იხ. ზემოთ განყოფილება 3).

8. ჩემი მონაცემები რამდენი ხნით შეინახება?

თქვენი პერსონალური მონაცემები Hyundai-ს და/ან ჩვენი სერვისის პროვაიდერების მიერ, მხოლოდ იმ ოდენობით ინახება, რაც ჩვენი ვალდებულებების შესასრულებლადაა აუცილებელი და მხოლოდ იმ დროით, რაც მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების შეგროვების მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი.
როდესაც Hyundai-ს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება აღარ დასჭირდება, მათ ჩვენი სისტემებიდან და/ან ჩანაწერებიდან წავშლით და/ან მათი ანონიმიზაციისთვის ზომებს მივიღებთ, რათა მონაცემებიდან თქვენი იდენტიფიცირება აღარ იყოს შესაძლებელი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ თქვენი ინფორმაციის შენახვა იმისთვის გვჭირდება, რომ ის სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებები შევასრულოთ, რომლებსაც Hyundai ექვემდებარება; მაგ. კონტრაქტებში, კომუნიკაციებსა და საქმიან წერილებში შემავალი პერსონალური მონაცემები შეიძლება დაექვემდებაროს შენახვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რაც შეიძლება ამ მონაცემების 10 წლამდე ვადით შენახვას მოითხოვდეს).

9. რა უფლებები გამაჩნია და მათი გამოყენება როგორ შემიძლია?

თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა გაეცით, შეგიძლიათ, ის ნებისმიერ დროს გააუქმოთ, რაც მომავალ დამუშავებაზე იმოქმედებს.
ასეთი გაუქმება იმ დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ მოახდენს, რომელიც თანხმობის გაუქმებამდე ხორციელდებოდა.
მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონის თანახმად, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, შემდეგი უფლებები გაქვთ.
გაითვალისწინეთ, რომ ეს უფლებები შეიძლება მონაცემთა დაცვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით იზღუდებოდეს.

9.1. წვდომის უფლება

თქვენ უფლება გაქვთ, ჩვენგან იმის შესახებ დასტური მოიპოვოთ, თქვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები დამუშავებულია თუ არა და, თუ ასეა, თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა მოითხოვოთ. კერძოდ, ეს ინფორმაცია დამუშავების იმ მიზნებს, პერსონალური მონაცემების კატეგორიებს, ასევე მიმღებებს, ან მიმღებთა კატეგორიებს მოიცავს, რომლებსაც ეს პერსონალური მონაცემები მიეწოდებოდათ, ან მომავალში მიეწოდებათ.
ამის მიუხედავად, ეს არ არის აბსოლუტური უფლება და სხვა პირების ინტერესებმა შეიძლება წვდომაზე თქვენი უფლება შეზღუდოს.
თქვენ ასევე, თქვენ შესახებ დამუშავებული პერსონალური მონაცემების ასლის მიღების უფლება გაქვთ.

ნებისმიერი შემდგომი ასლისთვის, რომელსაც მოითხოვთ, ჩვენ, ადმინისტრაციული ხარჯებიდან გამომდინარე, შეიძლება გონივრული გადასახადი დაგაკისროთ.

9.2. შესწორების უფლება

თქვენ შესახებ ნებისმიერი არაზუსტი პერსონალური ინფორმაციის შესწორების უფლება გაქვთ. დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე, უფლება გაქვთ, არასრული პერსონალური მონაცემები განაახლოთ, მათ შორის, დამატებითი განცხადების მიწოდების საშუალებით.

9.3. წაშლის უფლება („დავიწყების უფლება“)

გარკვეულ გარემოებებში, თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლის მოთხოვნის უფლება გაქვთ და ჩვენ შეიძლება მათი წაშლის ვალდებულება დაგვეკისროს.

9.4. დამუშავების შეზღუდვის უფლება

გარკვეულ გარემოებებში, უფლება გაქვთ, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შეზღუდვა დააწესოთ. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი მონაცემები მოინიშნება და ჩვენ მიერ შეიძლება მხოლოდ გარკვეული მიზნებისთვის დამუშავდეს.

9.5. მონაცემთა გადატანის უფლება

გარკვეულ გარემოებებში, თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ უფლებით, ჩვენგან თქვენ მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემების ასლი სტრუქტურირებულ, საყოველთაოდ გამოსაყენებელ და მოწყობილობის მიერ წასაკითხ ფორმატში მოიპოვოთ. თქვენ უფლება გაქვთ, ჩვენი მხრიდან ხელის შეშლის გარეშე, ეს მონაცემები სხვა სუბიექტს გადასცეთ, ან უშუალოდ ჩვენ მიერ მათი გადაცემა მოითხოვოთ.

9.6. გაპროტესტების უფლება

9.7. გარკვეულ გარემოებებში, თქვენ უფლება გაქვთ, თქვენი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ნებისმიერ დროს გააპროტესტოთ და ჩვენ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა მოგვეთხოვება.

თუ თქვენი პერსონალური მონაცემები პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მუშავდება, თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს გააპროტესტოთ ასეთი მარკეტინგის მიზნებისთვის თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, რაც მოიცავს პროფილირებას იმ ოდენობით, რომლითაც ის ასეთ პირდაპირ მარკეტინგთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, თქვენს პერსონალურ მონაცემებს ასეთი მიზნებისთვის აღარ დავამუშავებთ.

9.8. პრეტენზიის უფლება

თქვენ ასევე უფლება გაქვთ, თქვენი წარმოშობის ქვეყნის მონაცემთა დაცვის კომპეტენტურ სამეთვალყურეო ორგანოს პრეტენზიით მიმართოთ.

10. ვალდებული ვარ, ჩემი მონაცემები მივაწოდო?

თქვენი პერსონალური მონაცემების მიწოდების კანონიერი, ან საკონტრაქტო ვალდებულება არ გაქვთ. გარდა ამისა, ხელშეკრულების დასადებად, პირადი მონაცემების მიწოდება არ გჭირდებათ. თუმცა, თუ თქვენს პირად მონაცემებს არ მოგვაწვდით, შესაძლებელია, Bluelink Store-ის გამოყენებადობა თქვენთვის შეიზღუდოს.

11. როგორ შეიძლება კონფიდენციალურობის ეს შეტყობინება შეიცვალოს?

ჩვენ შეიძლება კონფიდენციალურობის ეს შეტყობინება მომავალში დროდადრო შევცვალოთ და/ან მასში დამატება შევიტანოთ.

ასეთი ცვლილებები და/ან დამატებები შეიძლება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ან ახალი სერვისების დანერგვის გამო გახდეს საჭირო.